

ნინო თეიმურაზის ასული ეჯიბაძე

ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

დაიბადა 1977 წ. 6 მარტს, თბილისში.

1994 წელს წარჩინებით დავამთავრე ქ. თბილისის N3 ექსპერიმენტული საშუალო სკოლა.

იმავე წელს ჩავირიცხე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1998 წელს წითელ დიპლომზე დავამთავრე ბაკალავრიატის სრული კურსი. ვიყავი სამეცნიერო კონფერენციების გამარჯვებული, რისთვისაც დავჯილდოვდი აკად. გ. წერეთლის სახელობითი სტიპენდიით.

1998 წელს ჩავირიცხე სამაგისტრო პროგრამაზე და 2000 წელს დავამთავრე მაგისტრატურის სრული კურსი ფრიადებზე.

იმავე წელს ჩავირიცხე თსუ ასპირანტურაში. 2004 წლის 11 მაისს დავიცავი დისერტაცია თემაზე “ზმნის სისტემა არაბული ენის ეგვიპტურ დიალექტში” და მომენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

2013 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მომანიჭა აკად. გიორგი წერეთლის სახ. სამეცნიერო პრემია ნაშრომთა ციკლისთვის არაბულ დიალექტოლოგიაში.

ვარ თსუ ასოცირებული პროფესორი (2012 წლიდან), აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ამავე ინსტიტუტის ყოველწიური სამეცნიერო ჟურნალ “აღმოსავლეთმცოდნეობის” სარედაქციო კოლეგიის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი, სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი.

ვარ ქართულ, ინგლისურ, არაბულ, რუსულ ენებზე გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი – 30-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, 9 წიგნი და მონოგრაფია; ასევე – თარგმანები (მათ შორის – წიგნად გამოცემული).

მყავს ერთი შვილი.

წარდგინება

წარვადგენ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებულ პროფესორს, ნინო ეჯიბაძეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში სტიპენდიანტის არჩევნებში მონაწილეობისთვის.

ნინო ეჯიბაძე ქართველ ორიენტალისტთა ახალი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ახალგაზრდა წარმატებულ მეცნიერს უკვე მიაქცია ყურადღება, როდესაც 2013 წელს მიანიჭა ქართველი აღმოსავლეთმცოდნეობისთვის ყველაზე მაღალი ჯილდო - გიორგი წერეთლის სახელობის სამეცნიერო პრემია. თავისი ასაკისთვის (39 წელი) ნ. ეჯიბაძეს სამეცნიერო პროდუქციის შთამბეჭდავი ნუსხა აქვს: გარდა სტატიებისა, ეს არის 9 წიგნი, რომელთა შორის 6 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელოა (კიდევ ერთი წიგნი წარმოადგენს არაბულიდან მხატვრულ თარგმანს). მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, არაბულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე და აპრობირებულია 15 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (სათვალაშვში აღებული მაქვს მხოლოდ უცხოეთში ჩატარებული სამეცნიერო ფორუმები).

ყველაფერთან ერთად, ნ. ეჯიბაძის მოღვაწეობა - სამეცნიეროცა და პედაგოგიურიც - სრულიად შეესაბამება თანამედროვეობის მოთხოვნებს, რომელთა მიხედვითაც, კერძოდ, დღეს ორიენტალისტიკაში განსაკუთრებით აქტუალურია ცოცხალი სამეცნიერო ენები და დიალექტები. ეს კურსი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტში ბოლო ხანებში რეალიზდება, რაშიც ნ. ეჯიბაძეს თავისი წვლილი შეაქვს. გარდა სალიტერატურო არაბულთან დაკავშირებული დისციპლინებისა, ნ. ეჯიბაძეს ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში მიჰყავს დიალექტოლოგიისა და ეგვიპტური დიალექტის კურსები. მის სამეცნიერო ნაშრომებში ტრადიციული და კარგად ცნობილი თემების გვერდით გვხვდება ისეთი თანამედროვე ჟღერადობის პუბლიკაციები, როგორცაა, მაგალითად, „SMS ეგვიპტურად“. ასევე არის აღნიშვნის ღირსი, რომ ნ. ეჯიბაძეს ეკუთვნის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მხატვრული თარგმანი არა სალიტერატურო არაბულიდან, არამედ ეგვიპტური დიალექტიდან. ასევე - ქართველ არაბისტთა შორის მან პირველმა თარგმნა მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები ქართულიდან არაბულად.

რაც შეეხება სამეცნიერო მუშაობას, მისთვის მთავარი სფეროა არაბული, პირველ რიგში ეგვიპტური, დიალექტოლოგია (გიორგი წერეთლის პრემია მან სწორედ დიალექტოლოგიაში შესრულებული ნაშრომების ციკლისთვის მიიღო). აქ მისი მუშაობის შედეგები წარმატებულია და აღიარებული. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მასალა, რომელსაც იგი ამ დროს ეყრდნობა, უმეტესწილად მის მიერაა მოპოვებული ეგვიპტეში რამდენიმეწლიანი მუშაობის შედეგად.

ნ. ეჯიბაძე ავტორია ორ წიგნად გამოცემული „ეგვიპტური დიალექტის გრამატიკისა“ (პირველი: ფონეტიკა, მორფოლოგია, მორფოფონეტიკა - 2010 წ.; მეორე: სინტაქსი - 2012 წ.) - ეს არის სრულიად ახალი თემა ქართულ არაბისტიკაში. ნაშრომი წარმოადგენს მეცნიერულ გრამატიკას, რომელიც რამდენიმე მხრივია ინოვაციური. იგი ითვალისწინებს არა მხოლოდ კაიროს მეტყველებას, როგორც ეგვიპტეში ერთგვარ საერთო ენას, არამედ აგრეთვე ეგვიპტის

ძირითად დიალექტებს - სამხრეთ და ჩრდილოეთ ზემო ეგვიპტის, ჩრდილოეთ სანაპიროს ბედუინთა მეტყველებებს, რაც იძლევა ქალაქის, სოფლის და ბედუინთა მეტყველებების ტიპოლოგიური დახასიათების საშუალებას. ნაშრომებში მთელი რიგი ახალი მოსაზრებებია ჩამოყალიბებული: მედიალური ხმოვნების დისტინქციური ფუნქციის შესახებ, ჰამზის რედუქციის ზოგიერთი ასპექტის შესახებ და სხვ; ახლებურადაა წარმოდგენილი ზედსართავი სახელის სემანტიკური ჯგუფები, რომელთათვის შესაბამისი წარმოების მოდელია დადგენილი; ორიგინალურია ბრძანებითის ფორმის გააზრება არა ზმნის კილოდ, რაც იძლევა საშუალებას დიალექტებში ამ ფორმის წარმოების უნივერსალური წესის განსაზღვრისა და ა.შ. განსაკუთრებით საინტერესოა „დანართები“, რომლებიც ავტორის მიერ გამოვლენილ მთელ რიგ საინტერესო ცოცხალ ლინგვისტურ მოვლენას და მათ მეცნიერულ კვალიფიკაციებს შეიცავს.

ავტორისეული საინტერესო დაკვირვებები და მეცნიერული დასკვნებია წარმოდგენილი მონოგრაფიაში „ეგვიპტის არაბული მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ასპექტი“ (2012 წ.). ნ. ეჯიბადე აქაც ახალ თემებს გვთავაზობს: სოციალური გრადაციის ასახვა დიალექტის ლექსიკაში, ფერის აღმნიშვნელი ზედსართავების მიერ ახალი დამატებითი სემანტიკის შექმნა და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იდიომატური გამოთქმების ლექსიკონი, რომელიც ცალკე პარაგრაფადაა წარმოდგენილი.

ნ. ეჯიბადე არის აგრეთვე მთელი რიგი სტატიის ავტორი დიალექტოლოგიაში, რომელთაგან ზოგიერთი უცხოურ გამოცემებშია გამოქვეყნებული (მაგ., Romano-Arabica-ში).

კიდევ ერთი წარმატებული სფერო, რომელშიც ნ. ეჯიბადე, თავის ხელმძღვანელთან, აკად. ა. სილაგამესთან, ერთად მუშაობს, არის სოციოლინგვისტიკა, კერძოდ არაბულ დიგლოსიასთან დაკავშირებული პრობლემები. ამ თემატიკას მიეძღვნა ორი ავტორის რამდენიმე სტატია (ერთ-ერთი „On Arabic Fiction Created in the Vernacular“ გამოქვეყნებულია ბუქარესტში, 2015 წ.) და ცალკე წიგნად გამოცემული ნაშრომები: „On Arabic Diglossia. არაბული დიგლოსიის შესახებ“ (ინგლისურად და ქართულად, 2012 წ.) და „Arabic Diglossia: Specificity and Problems“ (ინგლისურ ენაზე, 2016 წ.). ეს უკანასკნელი დაიბეჭდა გერმანიაში, ცნობილი გამომცემლობის Lambert Academic Publishing (Saarbrücken) მიერ; აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომის შექმნა და გამოქვეყნება იყო არა ავტორთა ინიციატივა, არამედ გამომცემლობის შეკვეთა. წიგნი მრავალმხრივია საყურადღებო; ამასთან, პრაქტიკულად ყოველი თემა, რომელიც მასშია განხილული, შეიცავს სრულიად ახალ დებულებებს, რომელთა მნიშვნელობა ზოგჯერ სცილდება ლინგვისტიკის (ასევე - ლიტერატურისმცოდნეობის) ფარგლებს. დავასახელებ მხოლოდ ძირითად თემატიკას: არაბული დიგლოსიის სპეციფიკა; არაბული ჰეტეროგრაფია; დიალექტზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურა; კოდის გადართვა; სალიტერატურო არაბულისა და დიალექტების ურთიერთობა; არაბული ენის სწავლების ზოგიერთი საკითხი და სხვ.

ნ. ეჯიბადის სამეცნიერო ინტერესების სფეროშია ასევე ფოლკლორისტიკა, კერძოდ არაბული, პირველ რიგში, ეგვიპტური, ზღაპრები და რიტუალები. 2010 წელს გამოაქვეყნებულ მონოგრაფიაში „ზარის რიტუალი ეგვიპტეში“ ეთიოპური წარმოშობის ამ რიტუალს იგი განიხილავს იმ მასალის მიხედვით, რომელიც მოიპოვა ეგვიპტელ პრაქტიციონერთა საქმიანობაზე საკუთარი დაკვირვებით. წიგნში მრავალმხრივი ანალიზია წარმოდგენილი და პირველადაა გამოქვეყნებული ზოგიერთი ტექსტი განმარტებებითა და მცირე ლექსიკონით, ჩაწერილი ავტორის მიერ. ავტორის ეს ნაშრომები ცნობილია საზღვარგარეთაც: ერთი მოხსენება წაკითხულ იქნა შრი-

ლანკაში, 2014 წ. კონფერენციაზე International Conference of Arts and Humanities, სტატიად დაიბეჭდა აშშ-ში, 2014 წ., კრებულში Linguistic and Literature Studies 2(4), USA. მოცემული თემის კონტექსტში საინტერესოა ავტორის მიერ 2009 წელს გამოქვეყნებული სტატია „ფშავური დაქადაგება და ეგვიპტური ზარი“.

გარდა წმინდა სამეცნიერო კვლევითი მუშაობისა, ნ. ეჯიბაძის ინტერესის საგანს წარმოადგენს სახელმძღვანელოებიც უმაღლესი სასწავლებლებისთვის. 2006 წელს მის მიერ გამოქვეყნებულია ეგვიპტური დიალექტის ზმნის ფორმათა პარადიგმები - „The Paradigms of the Verb forms in the Egyptian Arabic Dialect“; 2010 წ. - არაბულენოვანი „ეგვიპტური არაბული: ტექსტები, ლექსიკონი“; წელს - „თანამედროვე არაბული ენის სახელმძღვანელო“. ეს უკანასკნელი არის სალიტერატურო ენის სახელმძღვანელო, მთლიანად არაბულენოვანი, გათვალისწინებული არაბულის შესწავლის დამამთავრებელი კურსისთვის.

ზემოთწარმოდგენილი მოკლე მიმოხილვა სრულად ვერ ასახავს ნ. ეჯიბაძის სამეცნიერო მოღვაწეობას. იგი არის ავტორი კიდევ 30-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ადგილობრივ და უცხოურ გამოცემებში. ჩემთვის, როგორც ლიტერატურათმცოდნისათვის, განსაკუთრებით საინტერესოა მისი რამდენიმე ნაშრომი და მოხსენება, რომელთაგან, მაგალითად, ერთში ავტორი არაბული ფოლკლორული ზღაპრებისთვის დაადგენს გარკვეულ ფორმალურ მარკერებს, რომელთა მეშვეობითც შესაძლებელი ხდება არაბულ სინამდვილეში შექმნილი ზღაპრების გარჩევა არაარაბული წარმოშობის, არაბიზირებული ზღაპრებისგან. მეორეში ზღაპრისთვის გამოყოფილია ძირითადი შემადგენელი ნაწილები, რომელთათვისაც დადგენილია სპეციფიკური მყარი გამოთქმები ნაწილებს შორის გამყოფის სიგნალის ფუნქციით, რაც საბოლოოდ იძლევა საშუალებას, აიგოს ინვარიანტული თემატურ-სიუჟეტური სქემა თავისი კანონზომიერი ვარიანტებით.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ნ. ეჯიბაძე ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას წარმატებით უთავსებს თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტში აქტიურ მოღვაწეობას. იგი - არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი - არის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ყოველწიური სამეცნიერო კრებულის „აღმოსავლეთმცოდნეობა“ რედკოლეგიის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი, სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი.

თუ დავუბრუნდებით მთავარ სათქმელს - ნ. ეჯიბაძის სამეცნიერო მოღვაწეობას - დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ, ჯერ ერთი, მისი სამეცნიერო მოღვაწეობა წარმატებულია და აღიარებული მათ შორის იმიტომაც, რომ ნ. ეჯიბაძის პრაქტიკულად ყველა ნაშრომი ახალი ფაქტებისა და შესაბამისი ახალი სამეცნიერო დებულებების შემცველია; მეორეც, წარმატება იმაშიც გამოიხატება, რომ სახეზეა ზრდადი დინამიკა, რაც ახალი, უფრო დიდი მიღწევების საწინდარს ქმნის.

მიმაჩნია, რომ ნინო ეჯიბაძე ნამდვილად ღირსია იყოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიანტი.

ელიზბარ ჯაველიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის ნამდვილი წევრი

ნინო ეჯიბაძის
სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა დღეს თავისი განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზეა. იგი, ერთი მხრივ, ინარჩუნებს კლასიკურ ტრადიციებს, მეორე მხრივ, ახალი, უფრო ფართო პროფილის რეგიონთმცოდნეობითი მეცნიერებაა, რომლისთვისაც განსაკუთრებით აქტუალურია თამანდროვე ცოცხალი აღმოსავლური ენები და დიალექტები, უახლესი ლიტერატურული პროცესები და მათი მიმართება გლობალურ განვითარებასთან, კულტუროლოგიური პრობლემატიკა, ახლო აღმოსავლეთის უახლესი პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ. პრობლემები. ყველაფერი ეს ეხამება თანამედროვე მოთხოვნებს, მათ შორის, პრაქტიკული ხასიათისა.

ჩვენი აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ საუნივერსიტეტო აღმოსავლეთმცოდნეობის, მოდერნიზაციის პროცესი საკმაოდ ხანია დაწყებულია და მასში აქტიურად მონაწილეობს ორიენტალისტთა ახალი თაობა, რომელთა შორის ნინო ეჯიბაძე ერთ-ერთი გამორჩეულია. უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში მას აქტიური პოზიციები უჭირავს: იგი, არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში კითხულობს რამდენსამე სხვადასხვა არაბისტიკულ კურსს; ხელმძღვანელობს ორი დოქტორანტის მომზადებას; არის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ყოველწლიური სამეცნიერო კრებულის „აღმოსავლეთმცოდნეობა“ რედკოლეგიის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი, სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი.

ნ. ეჯიბაძე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია. შემდეგში წლების განმავლობაში სპეციალდებოდა ეგვიპტეში, მათ შორის - კაიროს ამერიკულ უნივერსიტეტში. შედეგად, გარდა იმისა, რომ მშობლიურივით ფლობს სალიტერატურო არაბულ ენას და ეგვიპტურ დიალექტს, შეგროვებული აქვს ეგვიპტური დიალექტის შესახებ მდიდარი მასალა, რომელიც არაბულ დიალექტოლოგიაში მისი მუშაობის მთავარი დასაყრდენია.

ნ. ეჯიბაძე უკვე აღიარებულია როგორც წარმატებული მეცნიერი. აღიარებულია იგი, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ: 2013 წელს აკადემიამ მას მიანიჭა გიორგი წერეთლის სახელობის სამეცნიერო პრემია - ქართველ ორიენტალისტთათვის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო. მისი ნაშრომები ცნობილია უცხოეთშიც, მას იქ გამოქვეყნებული აქვს სტატიები და, რაც განსაკუთრებითაა აღნიშვნის ღირსი, ერთი მონოგრაფია. სულ ნ. ეჯიბაძეს ეკუთვნის ქართულ, არაბულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული 30-მეტი სამეცნიერო სტატია, 6 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო. მონაწილეობა აქვს მიღებული უცხოეთში გამართულ 15 სამეცნიერო ფორუმში, რაც აგრეთვე მიუთითებს მის აღიარებას.

ნ. ეჯიბაძის სამეცნიერო პროდუქცია ზოგადად რამდენიმე ნიშნით იპყრობს ყურადღებას.

პირველი არის ახალი თემები, რომლებიც საერთო განვითარების უახლეს ეტაპებს ასახავენ. ბუნებრივია, მის სამეცნიერო პროდუქციაში ერთი მხრივ ტრადიციული თემები და პრობლემატიკაა წარმოდგენილი, მაგალითად, ისეთი ტიპისა, როგორიცაა „თავისებური ზმნები ეგვიპტურ დიალექტში“, მაგრამ, მეორე მხრივ, ვხედავთ თანამედროვე და ზოგჯერ

ულტრათანამედროვე თემატიკას, მაგალითად, “SMS ეგვიპტურად“, „Code Switching“, “ახალგაზრდული ჟარგონის ნიმუშები ეგვიპტურ ლიტერატურაში“ და სხვ.

მეორე, რისი აღნიშვნაც შეიძლება, არის ის, რომ ნ. ეჯიბადის პრაქტიკულად ყველა ნაშრომი შეიცავს საკუთრივ მის მიერ გამოვლენილ რომელსამე ლინგვისტურ ფაქტს, რომელიც ადრე შემჩნეული არ ყოფილა, და შესაბამის განზოგადებულ დებულებას, რომელიც ან ახალი ფაქტის ან ახალი კუთხით დანახული ფაქტის ანალიზის შედეგს წარმოადგენს.

ნ. ეჯიბადის სამეცნიერო ინტერესები სამ ძირითად მიმართულება მოიცავს: არაბული, კერძოდ ეგვიპტური, დიალექტოლოგია, სოციოლინგვისტიკა, ფოლკორისტიკა.

ამათგან მისთვის წამყვანია დიალექტოლოგია. მიუხედავად ამისა, დავიწყებ სოციოლინგვისტიკით, რადგანაც ამ დარგში მე და ნ. ეჯიბადეს ერთობლივი კვლევები გვაქვს ჩატარებული. 2010 წელს მე გამოვაქვეყნე სტატია, რომელშიც მითითებული იყო ჰეტეროგრაფიის მოვლენის შესახებ არაბულში: არაბული კონსონანტური დამწერლობა იძლევა ერთი და იმავე გრაფიკული ტექსტის ორგვარი დეშიფრაციის საშუალებას - როგორც კლასიკური ენის, ასევე თანამედროვე სტანდარტული ენის სახით. შემდეგში გაირკვა, რომ მე და ნ. ეჯიბადე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მივედით იმ დასკვნამდე, რომ აქ შეიძლება მესამე ელემენტის ჩართვაც - დიალექტის (ჩვენი კვლევის შემთხვევაში, ეგვიპტური დიალექტის) სახით, რადგანაც ამ დიალექტზე იქმნება და იბეჭდება მხატვრული ლიტერატურა. საბოლოოდ, სოციოლინგვისტური პრობლემატიკით ჩვენს დაინტერესებას რამდენიმე ერთობლივი ნაშრომი მოჰყვა: სტატიები - Some Questions of Arabic Diglossia (2012 წ.), არაბული დიალექტური მხატვრული ლიტერატურის შესახებ (2014 წ.), „On Arabic (Egyptian) Fiction Created in the Vernacular“ (2015 წ., ბუქარესტი) და სხვ., ცალკე წიგნები (მონოგრაფიები) - „On Arabic Diglossia. არაბული დიგლოსიის შესახებ“ (ინგლისურ და ქართულ ენებზე, 2014 წ.) და „Arabic Diglossia: Specificity and Problems“ (2016, Saarbrücken, Lambert Academic Publishing). უკანასკნელი მონოგრაფია გამომცემლობის შეკვეთით შეიქმნა. მასში კომპაქტურადაა წარმოდგენილი მთელი რიგი აქტუალური თემა, რომელთაგან ზოგი ან პირველად იქნა დასმული, ან სრულიად ახალი რაკურსითაა დანახული: არაბული დიგლოსიის სპეციფიკა; არაბული ჰეტეროგრაფია; დიალექტზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურა; კოდის გადართვა; სალიტერატურო არაბულისა და დიალექტის ურთიერთობა; არაბული ენის სწავლების საკითხები. მონოგრაფიაში პირველად არის ჩამოყალიბებული: არაბული დიგლოსიის სპეციფიკის 4 ნიშანი; ოპოზიციის *სალიტერატურო ენა : დიალექტი* პირველი ნაწილის სპეციფიკა; გრაფიკული ჰეტეროგრაფია სამი ელემენტისთვის - სალიტერატურო ენა, სტანდარტული ენა, დიალექტი; არაბული დიალექტური მხატვრული ლიტერატურის განვითარებასთან დაკავშირებული ცვლილებები სოციოლინგვისტურ და ლიტერატურულ სურათში, აგრეთვე - გარკვეულ პროგნოზები ამავე კონტექსტში; მხატვრული ლიტერატურა და ეთნიკური (ეროვნული) იდენტობის პრობლემა; ბილინგვიზმის არაბული სპეციფიკა; კოდის გადართვის შემთხვევების ზოგადი დახასიათება და ზოგიერთი ახალი ნიშნის გამოყოფა; სალიტერატურო არაბულზე დიალექტის გავლენის კონკრეტული საკითხები და ა.შ. და ა.შ.

როგორც ითქვა, ნ. ეჯიბადის სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარი სფეროა არაბული დიალექტოლოგია - არაბისტიკის საკმაოდ განვითარებული ლინგვისტური დარგი, რომელსაც ქართულ ორიენტალისტიკაში სათავე დაუდო აკად. გიორგი წერეთლის ცნობილმა ნაშრომებმა

შუა აზიის არაბული დიალექტების შესახებ. ნ. ეჯიბადისთვის კონკრეტული თემაა ეგვიპტური დიალექტი, ასევე - არაბული დიალექტების განვითარების ზოგადი კანონზომიერებები.

ნ. ეჯიბადე ავტორია 2 წიგნად გამოქვეყნებული „ეგვიპტური დიალექტის გრამატიკისა“ (პირველი გამოცემა 2010 წ. და შეიცავს ფონეტიკის, მორფოლოგიისა და მორფოფონეტიკის საკითხებს; მეორე - 2012 წელს, ეძღვნება სინტაქსს). ეს არის მეცნიერული ხასიათის ნაშრომები და არა მხოლოდ დესკრიპცია, თუმცა ეს მხარეც, ბუნებრივია, სათანადოდაა წარმოდგენილი, მით უმეტეს, რომ ავტორი ძირითადად თავის მიერ მოპოვებულ ემპირიულ მასალას ეყრდნობა, რომელიც ზოგჯერ სრულიად უცნობ ფაქტებს შეიცავს. რაც შეეხება მეცნიერულ მხარეს, პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია, რომ ნ. ეჯიბადე ითვალისწინებს რა, რომ კაიროს მეტყველება ერთგვარი საერთო ეგვიპტური სამეტყველო ენაა, მეორე მხრივ განიხილავს სხვა ძირითად ეგვიპტურ დიალექტებსაც (სამხრეთ და ჩრდილოეთ ზემო ეგვიპტისა, ჩრდილოეთ სანაპიროს ბედუინთა). საბოლოოდ ასეთი მიდგომა იძლევა საშუალებას მოცულ იქნას, ერთი მხრივ, მთლიანი სურათი - ქალაქის, სოფლის და მომთაბარეთა მეტყველება, მეორე მხრივ - თითოეული მათგანის ტიპოლოგიური სპეციფიკა. ნაშრომი ინოვაციურია იმ მხრივაც, რომ მასში მთელი რიგი ახალი დაკვირვება და დებულებაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით საინტერესოა ეგვიპტურისთვის დამახასიათებელი სამი თავისებური ზმნის ფორმალურ-გრამატიკული და ფუნქციური ანალიზი, რაც სიახლეს წარმოადგენს არაბულ დიალექტოლოგიაში (ამ სამი ზმნიდან ერთ-ერთის ba'a შესახებ თვითონ ეგვიპტელები ამბობენ: ვინც ამ ზმნის ყველა მნიშვნელობა და მათი გამოყენება იცის, მან იცის ეგვიპტური არაბული). ასევე იქცევს ყურადღებას ზოგიერთი ნაწილაკისა და ზმნიზედისთვის სრულიად ახალი ფუნქციების გამოვლენა. ორიგინალურია ზმნის ბრძანებითის ფორმის წარმოებისთვის უნივერსალური წესის განსაზღვრა, რაც შუა საუკუნეების ტრადიციულ არაბულ გრამატიკულ შეხედულებებს ეყრდნობა. ასევე - ზედსართავი სახელის სემანტიკურ ჯგუფებად კლასიფიცირება და მათთვის წარმოების შესაბამისი მოდელების დადგენა. ახალი მოსაზრებებია წარმოდგენილი მედიალური ხმოვნების დისტინქციური ფუნქციების შესახებ და სხვ. და სხვ. ნ. ეჯიბადის ეს ნაშრომები ახალ თემას ხსნიან ქართულ არაბისტიკაში.

ცოცხალ სამეტყველო ენაზე უშუალო დაკვირვების, ახალი ფაქტების აღმოჩენისა და სათანადო დასკვნების გამოტანის მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს მონოგრაფია „ეგვიპტის არაბული მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ასპექტი“ (2012 წ.). ნაშრომის თემათა უმრავლესობა სრულიად ახალია. დეტალურადაა გაანალიზებული ეგვიპტურ მეტყველებაში უახლესი ნასესხობანი, შესაბამისი ფონეტიკური და სემანტიკური ტრანსფორმაციები. გამოვლენილია ფერის აღმნიშვნელი ზედსართავების ახალი, მეორადი მნიშვნელობები. სისტემატიზებულია ე.წ. ხალხური პროფესიების აღმნიშვნელი ლექსიკა (ცალკე მამაკაცთა პროფესიები, ცალკე - ქალთა); ასევეა განხილული სოციალური გრადაციის ასახვა დიალექტის ლექსიკაში (აქაც - მამაკაცებისა და ქალებისთვის). ასევე დეტალურადაა გაანალიზებული მიმართვის, მისალმების, დამშვიდობების, დალოცვის, ფიცის და ა.შ. ფორმულები; საკუთარ სახელთა კნინობითის ფორმების წარმოების თავისებურებანი; რიცხვითი სახელების ზოგიერთი სპეციფიკური მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნაშრომში წარმოდგენილია იდიომატურ გამოთქმათა მცირე ლექსიკონი, სლენგისა და ჟარგონისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი გამოთქმის სია და ა.შ.

გარდა მონოგრაფიებისა, დილექტოლოგიაში ნ. ეჯიბაძეს გამოქვეყნებული აქვს მთელი რიგი სამეცნიერო სტატია როგორც ადგილობრივ გამოცემებში (მაგ., Bulletin of the Georgian National Academy of Sciences), ასევე უცხოეთში (მაგ., Romano-Arabica).

კიდევ ერთი სფერო, რომელიც შედის ნ. ეჯიბაძის სამეცნიერო ინტერესებში, არის ფოლკლორისტიკა. ნ. ეჯიბაძემ რამდენიმე სტატია, ასევე მოხსენება საერთაშორისო კონფერენციებზე მიუძღვნა არაბულ ხალხურ ზღაპრებსა და რიტუალებს. მას ეუკთვნის მონოგრაფია „ზარის რიტუალი ეგვიპტეში“ (2010 წ.). ეს არის თემა, რომელიც ანალიზის სხვადასხვა ასპექტს მოიცავს - ისტორიულს, ენოგრაფიულს, ლინგვისტურს, ლიტერატურათმცოდნეობითს და სხვ. ყველა ეს თემა ნაშრომში კომპაქტურადაა წარმოდგენილი. ნაშრომში, კერძოდ, გაანალიზებულია ზარის სახეობები, რიტუალის წამყვანი (ქოდია) და მისი დასი, დაავადებები, რომლებიც იკურნება ზარით, რიტუალის მიმდინარეობა, ამულეტები, ცერემონიის ენა, ტანსაცმელი, მუსიკალური ინსტრუმენტები. საყურადღებოა, რომ ნაშრომში წარმოდგენილია ავტორის მიერ ჩაწერილი ტექსტები კომენტარებით. ცალკეა განხილული თემასთან დაკავშირებული ყველა ტერმინი (100-მდე). მოცემულ თემაზე ავტორის ნაშრომები ცნობილია საზღარგარეთაც, კერძოდ, 2014 წელს ერთი მოხსენება წარდგენილი იყო შრი-ლანკაში International Conference of Arts and Humanities, და დაიბეჭდა აშშ-ში სამეცნიერო კრებულში Linguistic and Literature Studies 2(4), 2014, USA. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ავტორმა მიაკვლია გარკვეულ პარალელებს ქართულ სინამდვილეში - იხ. მისი სტატია „ფშავური დაქაგადება და ეგვიპტური ზარი“ (2009 წ.).

ფოლკლორისტიკის სფეროში ნ. ეჯიბაძის ნაშრომები სხვა თემებსაც ეხება, მათ შორის, ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათისა. კრებულში აღმოსავლეთმცოდნეობა N3 გამოქვეყნებული მისი სტატია „მყარი გამოთქმების სტრუქტურა ეგვიპტურ ზღაპრებში“ ზღაპრის მეტად საინტერესო სტრუქტურულ ანალიზს შეიცავს; მასში, კერძოდ, დადგენილია ტექსტის 4 ძირითადი შემადგენელი, რომელთა შორის საზღვრებს ავლებს თითოეული ნაწილის დასაწყისისთვის სპეციალური მყარი გამოთქმები, როგორც ფუნქციური სიგნალები; გარდა ამისა, თითოეული ნაწილი გვიჩვენებს ვარიანტებს, რომელთა კანონზომიერი ხასიათი იძლევა საერთო ინვარიანტული სქემის აგების საშალებას. კიდევ ერთ ნაშრომში, რომელიც წაკითხულია მოხსენებად და გადაცემულია დასაბეჭდად, შემოთავაზებულია მეტად საინტერესო მიგნება: ტექსტების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ფორმალური მარკერები, რომლებიც ფაქტობრივად ცალსახად განარჩევენ ერთმანეთისგან საკუთრივ არაბულ ზღაპრებს და არაარაბული წარმოშობის არაბიზებულ ზღაპრებს.

კიდევ ერთი სფერო, რომელშიც ნ. ეჯიბაძე წარმატებით მუშაობს, არის სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები სტუდენტთათვის. მას 3 ასეთი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ცალკე წიგნებად: The Paradigms of the Verb Forms in the Egyptian Arabic Dialect“, 2006 წ. (შედგება 3 ნაწილისგან: კაიროს, ას-სა'იდის და ბედუინთა მეტყველებები); ეგვიპტური არაბული: ტექსტები, ლექსიკონი, 2010 წელი (4 თემატური ნაწილი: წეს-ჩვეულებები, ზღაპრები, დიალოგები, ადრე გამოუქვეყნებელი ლექსები; კრებული მთლიანად არაბულენოვანია, მათ შორის - სპეციფიკური სიტყვებისა და გამოთქმების ლექსიკონი, რომელშიც დიალექტის ლექსიკური ერთეულები განმარტებულია სალიტერატურო არაბულით); თანამედროვე

არაბული ენის სახელმძღვანელო, 2016 წ. (ეს სახელმძღვანელოც მთლიანად არაბულენოვანია, მისი არაბული სახელწოდებაა *الكتاب في تعليم اللغة العربية في المستوى المتقدم لغير الناطقين بها*).

ნინო ეჯიბაძეს მონახული აქვს თავისი ნიშა ჩვენი აღმოსავლეთმცოდნეობისთვის ტრადიციულ თარგმანის სფეროშიც. მან პირველმა ქართველ არაბისტებს შორის თარგმნა ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები არაბულად. ასევე ჩვენს სინამდვილეში მის მიერ პირველადაა თარგმნილი მხატვრული ნაწარმოები არა სალიტერატრო არაბულიდან, არამედ ეგვიპტური დიალექტიდან (მუსტაფა მუშარაფას რომანი „კინტარა, რომელმაც შესცოდა“).

მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილია მოკლე შფასებითი მიმოხილვა, იგი მაინც ასახავს მთავარს: იმას, რომ ნინო ეჯიბაძის სახით ქართულ არაბისტიკას ჰყავს წარმატებული მეცნიერი, რომელიც, თავისი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე აღიარებულია არა მარტო ჩვენში. ნ. ეჯიბაძის სამეცნიერო მოღვაწეობა მეტად ნაყოფიერია (10 წლის მანძილზე, 2006-16 წლებში - 10 გამოქვეყნებული წიგნი: მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, თარგმანი), სამეცნიერო პროდუქცია - ყოველთვის მნიშვნელოვანი და სიახლის შემცველი. იგი იმ მეცნიერთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაგან სამეცნიერო საზოგადოება ახალ მიღწევებს ელის.

აპოლონ სილაგაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის ნამდვილი წევრი